დანართი N1
დამტკიცებულია:
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის
ბრძანება N 2/63 (01.06.2024)

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

მუხლი 1. პერსონალური მონაცემების დაცვის მიზანი

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია (შემდგომში „აკადემია“) წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს, ტრენინგ-კურსებს (მოკლევადიანი პროგრამა), აკრედიტირებულ პროგრამებს (შემსგომში „პროგრამები“). შესაბამისად, აკადემია ახორციელებს პირთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას.
2. აკადემიისათვის მნიშვნელოვანია პერსონალური მონაცემების დაცვა და ამ ვალდებულებას განიხილავს, როგორც მხარეთა შორის კეთილსინდისიერი და სანდო თანამშრომლობის საფუძველს.
3. აკადემიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.
4. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სისტემატურად ხორციელდება აკადემიაში მიმდინარე პროცესებისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრაქტიკის შეფასება, რისი გათვალისწინებითაც თანამშრომლებს ეძლევა სათანადო მითითებები და რეკომენდაციები.

მუხლი 2. პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები

1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას აკადემია ახორციელებს შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

   ა) პერსონალური მონაცემები მუშავდება სამართლიანად, კანონიერად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეულახავად;

   ბ) პერსონალური მონაცემები მუშავდება მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის. აკადემია არ ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;

   გ) აკადემია ახორციელებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. აკადემია ითვალისწინებს, რომ პერსონალური მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი;

   დ) დამუშავებელი პერსონალური მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები გასწორდება, წაიშლება ან განადგურდება გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

   ე) აკადემია ახორციელებს პერსონალური მონაცემების შენახვას მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია აღნიშნულ მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. სხვადასხვა სახის მონაცემების შენახვის კონკრეტული ვადა განისაზღვრება აკადემიის ნომენკლატურით შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გათვალისწინებით.

ვ) მონაცემთა დამუშავებისას აკადემია უზრუნველყოფს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მიღებას, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

მუხლი 3. პერსონალური მონაცემები და მისი დამუშავება

1. პერსონალური მონაცემია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ სხვა მახასიათებლებთან ერთად ერთობლიობაში, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.
2. მონაცემთა დამუშავება არის ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიოჩაწერა, ვიდეოჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება ან კომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება.
3. აკადემიაში მონაცემები ძირითადად მუშავდება: შრომითი/მომსახურების ხელშეკრულების დადების, სასწავლო ხელშეკრულების დადების, საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების, დაინტერესებულ პირთა განცხადებების განხილვის, სხვადასხვა სახელშეკრულებო ურთიერთობების შესრულების, დასაქმების მიზნით;
4. მონაცემთა დამუშავება ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც: არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა; მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით; მონაცემთა დამუშავება აუცილებელია აკადემიის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის ინტერესების დასაცავად; მონაცემთა დამუშავება აუცილებელია აკადემიის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმს შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი; მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომია; მონაცემები საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა თავად მონაცემთა სუბიექტმა; მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე მისთვის მომსახურების გაწევის მიზნით; კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
5. მონაცემთა სუბიექტი თანხმობას გამოხატავს ზეპირად, წერილობით, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული წესით, რომლითაც შესაძლებელია დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება.

მუხლი 4. მონაცემთა სუბიექტების წრე

1. აკადემიაში მუშავდება შემდეგ მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემები:

ა) აკადემიაში განცხადების წარმდგენი პირი;

ბ) პროფესიული სტუდენტი, მსმენელი, აპლიკანტი, ბენეფიციარი/მოსარგებლე;

გ) დაინტერესებული პირის წარმომადგენელი;

დ) აკადემიის თანამშრომლები (საშტატო, შტატგარეშე);

ე) მომსახურების გამწევი;

ვ) ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც მონაცემთა დამუშავება კანონით/კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებაა.

მუხლი 5. მონაცემთა კატეგორია

1. აკადემიაში დასამუშავებელ/დამუშავებულ პერსონალურ მონაცემთა წრე საკმაოდ ფართოა და მოიცავს:

ა)) საიდენტიფიკაციო მონაცემებს: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, სქესი, ხელმოწერა, მოქალაქეობრივი კუთვნილება, ინფორმაცია გარდაცვალების თაობაზე;
ბ) საკონტაქტო მონაცემებს: ტელეფონის ნომერი, მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი;
გ) შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული მონაცემები: დამსაქმებელი, ხელფასი/ანაზღაურება, სამუშო გამოცდილება, სტაჟი;
დ) განათლებასთან დაკავშირებული მონაცემები: განათლება, კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო დაწესებულება, აკადემიური ხარისხი, აკადემიური წოდება;
ე) დოკუმენტის მონაცემებს: დოკუმენტის ნომერი, გამცემი ორგანოს დასახელება, მოწმობის/ნებართვის გაცემის თარიღი, მოქმედების ვადა;
ვ) ბიომეტრიული მონაცემები: ფოტო, ზოგიერთ შემთხვევაში ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია;
ზ) მონაცემთა სუბიექტის მიერ აკადემიისათვის მიმართვისას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, შესაძლოა დადგეს ასევე სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის (მონაცემების) დამუშავების საჭიროება.

მუხლი 6. მონაცემთა შეგროვება და ჩაწერა

1. მონაცემთა შეგროვება ძირითადად ხორციელდება:
   ა) განცხადებით მომართვისას;
   ბ) თანამშრომლებთან/კონტრაქტორებთან პირადი და სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით ურთიერთობისას;
   გ) ინტერნეტის და სხვა ელექტრონული აპლიკაციების თუ საშუალებების გამოყენებისა და ამ დროს შესაბამისი ტრანზაქციების თუ მოქმედებების განხორციელებისას;
   დ) შრომითი ურთიერთობების დამყარების მიზნით სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებებით ურთიერთობისას;
   ე) აკადემიასთან კომპანიასთან ხელშეკრულების დადებისას;
   ვ) აკადემიის მხრიდან მონაცემთა სუბიექტის შესახებ კანონიერი გზებით მესამე პირებისგან ინფორმაციის მოძიებისას;
   ზ) აკადემიის ტერიტორიაზე (როგორც შენობაში, ასევე შენობის პერიმეტრზე) ფოტო, ვიდეო, აუდიო ჩანაწერების წარმოებისას;
   თ) ყველა სხვა კანონიერი საშუალებით მონაცემთა სუბიექტის მხრიდან აკადემიისათვის მონაცემის გადაცემისას.
2. მონაცემების ჩაწერა შეიძლება განხორციელდეს ხელით, ე.წ. მატერიალური ან სხვადასხვა ელექტრონული საშუალებებით.

მუხლი 7. ვიდეო ჩაწერა

1. ვიდეო ჩაწერა ხორციელდება აკადემიის, პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, თანამშრომლების საკუთრების უფლების დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების, მართლწესრიგის დაცვის, საზოგადოებრივი უშიშროების და მომსახურების გაწევის მიზნით. აკადემიაში მიმდინარეობს შენობის გარე პერიმეტრისა და შესასვლელების, ასევე, დერეფნების და რამდენიმე აუდიტორიის (საგამოცდო სივრცე) მონიტორინგი ვიდეოთვალთვალის სისტემების მეშვეობით.
2. მონაცემთა სუბიექტების საყურადღებოდ ვიდეო ჩაწერასთან დაკავშირებით აკადემია თვალსაჩინო ადგილას განათავსებს გამაფრთხილებელ ნიშნებს.
3. აუცილებლობის შემთხვევაში, აუდიო ჩაწერა შეიძლება განხორციელდეს მომსახურების გაუმჯობესების, პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ობიექტური შეფასების მიზნებისთვისაც.

მუხლი 8. მონაცემთა სუბიექტის უფლებები და ვალდებულებები

1. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია გამოითხოვოს აკადემიიდან ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 10

(ათი) კალენდარული დღისა აკადემია უზრუნველყოფს შემდეგი ინფორმაციის მიწოდებას:

- რომელი კატეგორიის მონაცემები მუშავდება მის შესახებ;
- რა მიზნით მუშავდება მონაცემები;
- რა სამართლებრივი საფუძვლით მუშავდება მონაცემები;
- რა გზით შეგროვდა პერსონალური მონაცემები;
- გაცემულა თუ არა მისი მონაცემები მესამე პირზე, ვისზე გაიცა - მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი.

2. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს აკადემიას და იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ, მოსთხოვოს მისი პერსონალური მონაცემების გასწორება, დაბლოკვა, განახლება, დამატება, წაშლა, ან განადგურება. ასეთ დროს აკადემია შესაბამის რეაგირებას ახდენს შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.
3. მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე, გამოიხმოს (მოითხოვოს მონაცემების დამუშავების შეწყვეტა ან/და დამუშავებული მონაცემების განადგურება) მის მიერ აკადემიისათვის გაცხადებული თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე.

მუხლი 9. პერსონალური მონაცემების მესამე პირებისთვის გადაცემა

1. აკადემიამ მონაცემთა სუბიექტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა მესამე პირებს გადასცეს შემდეგი მიზნებისათვის: მონაცემთა სუბიექტის სრულყოფილი მომსახურებისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების მიზნით, სხვა პირებთან, სახელმწიფო ორგანიზაციებთან, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე აკადემიის მიერ, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნებისათვის. პერსონალური მონაცემების მესამე პირებისათვის გადაცემის უფლებამოსილება აკადემიას გააჩნია კანონმდებლობით ან მონაცემთა სუბიექტთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან/თანხმობიდან გამომდინარე.
2. პერსონალური მონაცემების გადაცემა მესამე პირებისთვის ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. მონაცემთა უსაფრთხოება და თანამშრომლების პასუხისმგებლობა

1. აკადემია იღებს ყველა ისეთ გონივრულ ორგანიზაციულ და ტექნიკური ზომას, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისგან.
2. აკადემიის ნებისმიერი თანამშრომელი მკაცრად იცავს კონფიდენციალობის და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპებს, ასევე თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. მას ეკისრება ვალდებულება, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგაც.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები და საკონტაქტო ინფორმაცია

1. წინამდებარე დოკუმენტში შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებების და დამატებების შეტანა, რაც აისახება ამ დოკუმენტში და გამოქვეყნდება ელექტრონულ მისამართზე: www.bta.edu.ge

2. წინამდებარე დოკუმენტში მოცემული ტერმინები განიმარტება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
3. ის საკითხები, რომელიც არ არის მოცემული წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტში, რეგულირდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. აკადემიაში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: btaedu@yahoo.com, ტელეფონის ნომერზე: (+995 32) 2 24 95 57 ან მისამართზე: ქ. თბილისი, წერონისის ქ. N208.